ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება–დემოკრატიული საქართველო”

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 595712727

N 50
26/01/2018

50-07-3-201801261434

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს, ბესიკ ტაბიძეს

ბატონო ბესიკ,

გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 24 იანვარს გაიმართა ფრაქცია ,,ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველო“-ს ფრაქციის სხდომა. გიგზავნით აღნიშნული სხდომის ოქმს.

დანართი: ოქმი N 4- 4(ოთხი) ფურცელი

წესდება - 6(ექვსი) ფურცელი

პატივისცემით,

ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის თავმჯდომარე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს "
სხდომის ოქმი №4

ქ.ლანჩხუთი **24.01.2018 წელი**

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე ბესიკ კუპრაძე

ფრაქციის წევრები:
ბესიკ ტაბიძე, კახა ბოლქვაძე, ციცინო ჩხაიძე, დავით ჩხარტიშვილი, ვლადიმერ ნანაძე, გიორგი გვარჯალაძე, კახა თედორაძე, რეზო კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, თორნიკე ტიკაძე, რევაზ კვერენჩხილაძე და ზაალ სანაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი და მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი გია ნაჭყებია.

ფრაქციის თავმჯდომარემ, ბესიკ კუპრაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ში თანამდებობის პირთა ცვლილების შესახებ.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

2.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ -ს წესდებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი ბ. კუპრაძე/

3. სხვადასხვა.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე:-ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ში თანამდებობის პირთა ცვლილების შესახებ საკითხი სხდომას

გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ. მან აღნიშნა, რომ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს მდივნის თანამდებობას ტოვებს ციცინო ჩხაიძე, რასაც ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ მდივნის თანამდებობაზე დაასახელა კახა თედორაძე, რასაც ფრაქციის წევრთა უმრავლესობამ დაუჭირა მხარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ მეორე მოადგილის თანამდებობაზე დაასახელა ციცინო ჩხაიძე, რასაც ფრაქციის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:
მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე:-.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ -ს წესდებაში ცვლილების შეტანა სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ. მისივე განმარტებით ფრაქციაში თანამდებობის პირთა ცვლილების შემდეგ საჭიროა შევიდეს ცვლილება.

ფრაქციის თავმჯდომარემ ბესიკ კუპრაძემ კენჭი უყარა საკითხს:
მომხრე 13, წინააღმდეგი არცერთი.

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მოწონებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა :

ფრაქციის წევრმა **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ ნინოშვილის ადმინისტრაციულ ერთეულში სატვირთო ავტომობილების ინტენსიური მოძრაობის გამო დაზიანებულია საავტომობილო გზის საფარი და საჭიროებს რეაბილიტაციას.

დეპუტატმა **რევაზ კვერენჩხილაძემ** აღნიშნა, რომ ,,მედალფას“ კლინიკაში თითქმის ყოველ დღე შემოდის ქუჩის ძაღლების მიერ დაკბენილი პაციენტები. შესაბმისად ამოიწურა ცოფის საწინააღმდეგო პრეპარატის(ანატოქსინი) მარაგი. აღნიშნული საკითხი საჭიროებს სწრაფ რეაგირებას, როგორც მარაგის შევსებით, ასევე მაწანწალა ძაღლების პრობლემების მოგვარებით.

დეპუტატმა **ზაალ სანაძემ** აღნიშნა, რომ აუცილებელია ძაღლების თავშესაფრის გაკეთება.

ფრაქციის თავმჯდომარემ **ბესიკ კუპრაძემ** აღნიშნა, რომ სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სასურველია თუნდაც ერთი სასწრაფო დახმარების და ერთი სახანძრო ბრიგადის არსებობა, რომელიც მოემსახურება მიმდებარე სოფლებსაც და ხელს შეუწყობს შესაბამის გამოძახებაზე დროულ რეაგირებას. მან ასევე აღნიშნა, რომ სუფსაში არის ძველი საავადმყოფოს შენობა, რომელიც რეაბილიტაციის შემდგომ გამოდგება აღნიშნული სამსახურების განსათავსებლად.

დეპუტატმა **ციცინო ჩხაიძემ** აღნიშნა, რომ სოფლებში მოსაწესრიგებელია ამბულატორიები.

დეპუტატმა **რევაზ კვერენჩხილაძემ** აღნიშნა, რომ აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში არის უნიკალური ამბულატორია, რომელიც გაკეთდა სახელმწიფო ჯანდაცვის პროგარამის გათვალისწინებით, ეს პროცესი გრძელდება და მიზნად ისახავს საქართველოს მასშტაბით ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ამბულატორიების მოწყობას.

დეპუტატმა **კახა ბოლქვაძემ** აღნიშნა, რომ სამწუხაროდ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მომრავლდა დიალეზის საჭიროების მქონე პაციენტები, რის გამოც დადგა დიალეზის აპარატის შეძენისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის საჭიროება.

დეპუტატმა **რევაზ კვერენჩხილაძემ** აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე აღრიცხვაზე იმყოფება დიალეზით მკურნალობის საჭიროების მქონე 21 პაციენტი, რისთვისაც საკმარისი იქნება სამი აპარატი. მან ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული საკითხის მოსაგვარებლად საჭიროა თერაპიული პროფილის მქონე ექიმის გადამზადება და შენობის გამოყოფა, რომელიც დააკმაყოფილებს შესაბამის მოთხოვნებს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** აღნიშნა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს წევრების მიერ გამოთქმული შენიშვნები და მოსაზრებები ყველა საკითხთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ,,კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ რეორგანიზაცია.

რეორგანიზაციის მიზანია მოხდეს ფუნქციურად მონათესავე მიმართულებების დაჯგუფება თითოეული იურიდიული პირის მიხედვით, რაც დაზოგავს ადმინისტრაციულ ხარჯებს და თანხები მოხმარდება კონკრეტული პრობლემების გადაჭრას.

პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას. რეორგანიზაცია განხორციელდება დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** ასევე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში იგეგმება საფეხბურთო აკადემიის მშენებლობა, რომელიც დაფინანსდება მუნიციპალური განვითარების ფონდიდან.

დეპუტატმა **გიორგი ჩახვაძემ** ყურადღება გაამახვილა სოციალური პროგრამების საკითხზე და აღნიშნა, რომ კარგი იქნება თუ შეთანხმებას მივაღწევთ იუსტიციის სამინისტროსთან, რომ საინფორმაციო ბარათების გამოთხოვის მიზნით მოხდეს შესაბამისი პროგრამის ჩატვირთვა სოციალურ სამსახურში.

დეპუტატი **ციცინო ჩხაიძე** დაინტერესდა, არის თუ არა დადებული დასკვნები აუდიტის სამსახურის მიერ ა(ა)იპ-ებში ჩატარებულ შემოწმებებზე.

მერიის აუდიტის სამსახურის უფროსმა **გია ნიჭყებიამ** განმარტა, რომ მისი სამსახური მუდმივად ახდენს აუდიტორულ შემოწმებას მუნიციპალიტეტში არსებულ ა(ა)იპ-ებში. 2017 წელს აუდიტორული შემოწმება ჩატარდა ხუთ ა(ა)იპ-ში და იმ აუდიტორული შემოწმების შედეგად დადებული დასკვნების საფუძველზე, რომლებშიც იკვეთებოდა სისხლის სამართლის დანაშაული, საგამოძიებო ორგანოების მიერ დაწყებულია ძიება. მან ასევე აღნიშნა, რომ აუდიტორული შემოწმება საჭიროებს დიდ დროს და ამიტომ ერთი წლის

პერიოდში ვერ ახერხებენ ყველა ა(ა)იპ-ის შემოწმებას. აღნიშნულ საკითხზე იმსჯელეს ფრაქციის წევრებმა და შეთანხმდნენ, რომ მოიწვიონ სახელმწიფო აუდიტი.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" თავმჯდომარე

ბესიკ კუპრაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წესდებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" 2018 წლის 24 იანვრის სხდომის გადაწყვეტილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" წესდებაში შევიდეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

ფრაქციის თავმჯდომარე: ----------

მოადგილე: ----------

მოადგილე: ----------

მდივანი: ----------

2018 წლის 24 იანვრის მდგომარეობით

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ წ ე ს დ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“ (შემდგომში ფრაქცია) არის საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრთა ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომელიც იქმნება საკრებულოში მათი საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

2. ფრაქციის მექმნისა და საქმიანობის საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“, საკრებულოს დებულება (რეგლამენტი) და სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები.

3. ფრაქცია შედგება საკრებულოს 15 წევრისაგან.

4. ფრაქციის იურიდიული მისამართია ქ. ლანჩხუთი, კოსტავას ქ. N37.

5. ფრაქციის თავმჯდომარეა ზესიგ კუპრავე. მოადგილეები: კახა ზოლქვაძე, ციცინო ჩხაიძე, ალეკანი კასა თედორაძე

მუხლი 2. ფრაქციის მიზნები და ამოცანები

ფრაქციის მიზნები და ამოცანები:

ა) გამოხატოს და გაატაროს საკუთარი კურსი საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით;

ბ) მონაწილეობა მიიღოს საკრებულოს საქმიანობის სრულყოფაში;

გ) ხელი შეუწყოს საკრებულოს წევრთა შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენასა და მათი აქტიურობის გაზრდას, ასევე მათ მიერ საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) მოთხოვნათა შესრულებასა და საკრებულოს ქცევის სტანდარტების დაცვას;

დ) გამოხატოს ფრაქციის შეხედულება საკრებულოს უფლებამოსილებას მიკუთვნებულ საკითხების განხორციელებაში;

ე) განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური პლატფორმა.

მუხლი 3. ფრაქციის ძირითადი უფლებამოსილებები

1. საკრებულოს ფრაქციას უფლება აქვს:

ა) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვისა და სხდომაზე მომხსენებლის დანიშვნის თაობაზე;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციების კოალიციასთან ან სხვა ფრაქციასთან გაერთიანების, ფრაქციის გაუქმების, ფრაქციის წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ;

გ) ფრაქციის წესდებით დადგენილი წესით აირჩიოს და გადაირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება ფრაქციის საქმიანობის საკითხზე;

ე) წარადგინოს კანდიდატები საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევით თანამდებობაზე;

ვ) მოამზადოს და საკრებულოს განსახილველად წარუდგინოს საკრებულოს მიერ მისაღები სამართლებრივი აქტების პროექტები;

ზ) მოითხოვოს ცალკეული საკითხების საფუძვლიანად შესწავლის მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა;

თ) შეკითხვით მიმართოს საკრებულოს მიერ შექმნილ ორგანოებსა და საკრებულოს წევრებს ანგარიშვალდებულ თანამდებობის პირებს;

ი) საკრებულოს კომისიაში და საკრებულოს სხდომაზე გამოთქვას თავისი მოსაზრება საკრებულოს მიერ ასარჩევ, დასანიშნ, დასამტკიცებელ ან იმ კანდიდატურის თაობაზე, რომლის დანიშვნაზეც თანხმობას იძლევა საკრებულო;

კ) წელიწადში ერთხელ, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკრებულოს სხდომაზე გააკეთოს ფრაქციის თითო საათიანი მოხსენება;

ლ) გამოაქვეყნოს თავისი თვალსაზრისი და მიმართვა საკრებულოს საინფორმაციო საშუალებებში;

მ) ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობითა და ამ დებულებით (რეგლამენტით) გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

2. ფრაქციის მიერ კომისიაში ან დროებით სამუშაო ჯგუფში წარდგენილი საკრებულოს წევრის ფრაქციიდან გასვლის ან გარიცხვის შემთხვევაში, ფრაქციას უფლება აქვს თავისი კვოტის შესაბამისად ამ კომისიაში ან დროებით სამუშაო ჯგუფში წარადგინოს ფრაქციის ახალი წევრის კანდიდატურა.

3. ფრაქციას ნებისმიერ დროს შეუძლია შეცვალოს მის მიერ წარდგენილი წევრი ფრაქციის სხვა წევრით, რის შესახებაც წერილობით აცნობებს შესაბამისი კომისიის ან/და დროებითი სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარეს.

4. ფრაქციის წარმომადგენელთა რაოდენობა საკრებულოს კომისიებში და დროებით სამუშაო ჯგუფებში (გარდა ინტერფრაქციული ჯგუფისა), განისაზღვრება ფრაქციაში გაერთიანებულ წევრთა რაოდენობის პროპორციულად. ფრაქციების პროპორციული წარმომადგენლობის კვოტებს ადგენს საკრებულოს ბიურო. ფრაქციას უფლება აქვს საკრებულოს ბიუროს ამ გადაწყვეტილების მარლერხომიერების საკითხი დასვას საკრებულოს სხდომაზე. საკრებულოს სხდომა საკითხს იხილავს რიგგარეშედ და იღებს გადაწყვეტილებას სხდომაზე დამსწრე საკრებულოს წევრთა უმრავლესობით, მაგრამ არა ნაკლებ სათა წევრადგენლობის 1/3-ისა.

5. ფრაქციის პროპორციული წარმომადგენლობის შეცვლის შემთხვევაში, საკრებულოს კომისიებსა და დროებით სამუშაო ჯგუფებში ფრაქციის წარმომადგენლობის პერსონალურ საკითხს წყვეტს შესაბამისი ფრაქცია.

6. ფრაქციის წარმომადგენელს საკრებულოს სხდომაზე გააჩნია სიტყვით გამოსვლის უპირატესი რიგითობა ფრაქციის გარეშე წევრთან შედარებით.

მუხლი 4. ფრაქციის სტრუქტურა და საქმიანობის წესი

1. ფრაქციის უმაღლესი ორგანოა ფრაქციის სხდომა.

2. ფრაქციის სხდომა,ჩვეულებრივ წესი, დიაა. ფრაქციის სხდომა ფრაქციის სრული შემადგენლობის უმრავლესობის გადაწყვეტილებით შეიძლება დაიხუროს.

3. ფრაქციის სხდომა მოიწვევა კვარტალში ერთხელ მაინც ან საჭიროებისამებრ. ფრაქციის სხდომის მოწვევის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს საკუთარი ინიციატივით ან ფრაქციის წევრთა უმრავლესობის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე.

4. ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

5. ფრაქციის სხდომის დღის წესრიგს ადგენს და დასამტკიცებლად წარუდგენს ფრაქციის სხდომას ფრაქციის თავმჯდომარე.

6. ფრაქციის სხდომა დღის წესრიგს ამტკიცებს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

7. დღის წესრიგში ცვლილებების შეტანის ინიციირების უფლება აქვს ფრაქციის წევრს. გადაწყვეტილება მიიღება ამ მუხლის მე-6 პუნქტით დადგენილი წესით.

8. ფრაქციის სხდომაზე გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 5. ფრაქციის სხდომის უფლებამოსილება

ფრაქციის სხდომა უფლებამოსილია:

ა) შეიტანოს ცვლილებები და დამატებები ფრაქციის წესდებაში;

ბ) მიიღოს გადაწყვეტილება საკრებულოს სხდომაზე განსახილველი საკითხის შესახებ ფრაქციის ერთიანი პოზიციის გამოხატვის თაობაზე;

გ) აირჩიოს ფრაქციის თანამდებობის პირები;

დ) გადაწყვიტოს ფრაქციის საქმიანობასთან დაკავშირებული ცალკეული საკითხები;

ე) გადაწყვიტოს ფრაქციის წარმომადგენლობის კვოტების გამოყენების წესი;

ვ) შეიმუშავოს ფრაქციისათვის გამოყოფილი თანხის ხარჯვის წესი;

ზ) განიხილოს და გადაწყვიტოს ფრაქციაში საკრებულოს წევრთა გაწევრიანებისა და ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის საკითხი;

თ) განახორციელოს საკრებულოს რეგლამენტითა და საქართველოს კანონმდებლობით, ასევე ამ წესდებით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 6. ფრაქციის თანამდებობის პირები და საქმიანობის ორგანიზაცია

1. ფრაქციის თანამდებობის პირებია თავმჯდომარე და მოადგილე.

2. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის სხდომაზე ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარეს.

3. ფრაქციის თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობას;

ბ) წარმოადგენს ფრაქციას საკრებულოში, საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს ბიურის სხდომაზე;

გ) იწვევს და წარმართავს ფრაქციის სხდომას;

დ) ახორციელებს კანონმდებლობითა და წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;

4. ფრაქციის თავმჯდომარეს უფლება აქვს ნებისმიერ დროს გადადგეს ფრაქციის თავმჯდომარის თანამდებობიდან.

5. ფრაქცია უფლებამოსილია გადაიყვანოს ფრაქციის თავმჯდომარე დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას წერილობით მოითხოვს ფრაქციის წევრთა უმრავლესობა. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარე გადაყენებულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

6. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის წევრთა უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეს.

7. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის კანდიდატურის დასახელების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს.

8. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე:

ა) ფრაქციის თავმჯდომარის დავალებით ხელმძღვანელობს ფრაქციის საქმიანობის ცალკეულ მიმართულებებს;

ბ) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარის მოვალეობას მისი არყოფნისას, ან მისი პირდაპირი დავალებით;

გ) საკრებულოს ბიუროს სხდომაზე ფრაქციის თავმჯდომარის საპატიო მიზეზით დაუსწრებლობის შემთხვევაში ხმის უფლებით დაესწროს ბიუროს სხდომას.

9. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე შეიძლება გადაყენებული იქნეს დაკავებული თანამდებობიდან, თუ ამას მოითხოვს ფრაქციის თავმჯდომარე ან ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი წერილობით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე გადარჩეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

მუხლი 7. ფრაქციის მდივანი

1. ფრაქცია თავისი შემადგენლობიდან, ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით ირჩევს ფრაქციის მდივანს.

2. ფრაქციის მდივანი:

ა) ასრულებს ფრაქციის თავმჯდომარისა და მოადგილის დავალებებს;

ბ) ხელმძღვანელობს ფრაქციის მიდა ორგანიზაციულ საქმიანობას;

გ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

3. ფრაქციის მდივნის გადარჩევა შესაძლებელია ფრაქციის თავმჯდომარის ან ფრაქციის წევრთა ნახევარზე მეტის წერილობითი მოთხოვნით. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია აღნიშნული საკითხი შეიტანოს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში. ფრაქციის მდივანი გადარჩეულად ჩაითვლება, თუ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს ფრაქციის სხდომაზე დამსწრე წევრების უმრავლესობა.

მუხლი 8. ფრაქციის შემადგენლობა

1. ფრაქციის წევრი შეიძლება გახდეს საკრებულოს ნებისმიერი წევრი, რომელიც იზიარებს ფრაქციის პოლიტიკურ პლატფორმას და წესდებას.

2. ფრაქციაში გაწევრიანებისათვის საკრებულოს წევრი განცხადებით მიმართავს ფრაქციის თავმჯდომარეს, რომელსაც საკრებულოს წევრის ფრაქციაში გაწევრიანების საკითხი შეაქვს ფრაქციის უახლოესი სხდომის დღის წესრიგში, რისთვისაც ფრაქციის სხდომას მოიწვევს არაუგვიანეს ერთი თვისა განცხადების წარდგენის დღიდან.

3. ფრაქციაში საკრებულოს წევრის გაერთიანების შესახებ გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება ფრაქციის შემადგენლობის უმრავლესობის მხარდაჭერით.

4. ფრაქციის წევრი ვალდებულია:

ა) დაიცვას ფრაქციის წესდება;

ბ) დაიცვას ფრაქციის სხდომის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და ფრაქციის თავმჯდომარის მითითებები;

გ) არ განახორციელოს ფრაქციის პოლიტიკური კურსის საწინააღმდეგო ქმედება.

5. ფრაქციის წევრი უფლებამოსილია საკრებულოს დებულებით დადგენილი წესით გავიდეს ფრაქციის შემადგენლობიდან.

6. ფრაქციას უფლება აქვს სრული შემადგენლობის უმრავლესობით მიიღოს გადაწყვეტილება თავისი შემადგენლობიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის შესახებ თუ:

ა) მისი საქმიანობა ეწინააღმდეგება ფრაქციის მიზნებსა და ამოცანებს;

ბ) განზრახ ან არასაპატიო მიზეზით სისტემურად არღვევს ფრაქციის წესდების მოთხოვნებს.

7. ფრაქციის წევრის ფრაქციიდან გარიცხვის მოთხოვნის უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს ან ფრაქციის სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტს. ფრაქციიდან ფრაქციის წევრის გარიცხვის მოთხოვნა წერილობით უნდა იყოს დასაბუთებული.

მუხლი 9. ფრაქციის წესდების გადასინჯვა

1. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის ინიციირების უფლება აქვს ფრაქციის თავმჯდომარეს, ფრაქციის არანაკლებ 7 წევრს.

2. ფრაქციის თავმჯდომარე ვალდებულია წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის პროექტი გააცნოს ფრაქციის ყველა წევრს და საკითხის ინიციირებიდან ერთი თვის ვადაში იგი შეიტანოს ფრაქციის სხდომის დღის წესრიგში.

3. ფრაქციის წესდების ზოგადი ან ნაწილობრივი გადასინჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ფრაქციის სხდომა, თუ მას მხარს დაუჭერს ფრაქციის სრული შემადგენლობის 2/3.

მუხლი 10. ფრაქციის გაუქმება

ფრაქცია ჩაითვლება გაუქმებულად, თუ ფრაქციიდან წევრთა გასვლის ან გარიცხვის შედეგად გაერთიანებული დარჩება ფრაქციის 3 წევრზე ნაკლები.

ფრაქციის თავმჯდომარე: ----------

მოადგილე: ----------

მოადგილე: ----------

მდივანი: ----------

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ფრაქციის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი
24.01.2018 წელი 14:00 საათი

სახელი, გვარი	დრო	ხელმოწერა
1. ბესიკ კუპრაძე	13 45	
2. ბესიკ ტაბიძე	13 55	
3. ვლადიმერ წანაძე	13 50	
4.გიორგი გვარჯალაძე	13 50	
5. გოდერძი ქურიძე		არ ესწრებოდა
6. .კახა ბოლქვაძე	13-50	
7. კახა თედორაძე		13 52
8. რეზო კვაჭაძე	13 50	
9. ციცინო ჩხაიძე	13 53	
10. ზაალ სანაძე	13 55	
11. ცისანა ურუშაძე		არ ესწრებოდა
12.გიორგი ჩახვაძე	13 55	
13.რევაზ კვერენჩხილაძე	14 00	

14. დავით ჩხარტიშვილი	13 55	
15.თორნიკე ტიკამე	13 55	